

## ვინ მოხდა პირობი სანაია?

26 ივლისი ბარისასოში გიორგი სანაიასთან ერთად დადამდა! მას შემდეგ დიდიც და პატარაც ხევსურეთშიც, თბილისშიც, ქუთაისშიც და, საერთოდ, ყველგან, გიორგი სანაიაზე ლაპარაკობს... მე მას პირადად არასოდეს შევხვედრივარ, მაგრამ კარგად ვიცნობდი: სამყაროსადმი კეთილგანწყობილი, ერთდროულად ვაჟკაცურიც და სათნოც; უკომფლიქტო იმდენად, რომ ზოგჯერ მიუღებელ კომპრომისზე წამსვლელი, მაგრამ საკუთარ თავთან მაინც მართალი...

შინაგანი სიმრთელე და მიმტყვებლობა იყო მისი ძალა ეგრისულ ნიჭიერებასთან ერთად... ტრაგიკულმა სიკვდილმა გიორგი გმირად აქცია. ქართველი საზოგადოებრიობა ცნობიერად თუ ინტუიტურად გიორგისთან ერთად დასტიროდა (და დასტირის) საკუთარ იმედგაცრუებას, ეროვნული სულის გამოღვივებას რომ მოჰყვა...

ადამიანის ფიქრისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი აზრი ნელა მოძრაობს: მოვლენის აღქმას სწრაფად ახერხებს, მაგრამ ანალიზსა და, მით უმეტეს, დასკვნას აგვიანებს... ამ მოვლენის ახსნა შორს წაგვიყვანს.

გიორგი სანაიას მკვლელობა შეიძლება გაიხსნას კიდევც, მაგრამ სრული სინამდვილე ცნობილი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქართველოში დამთავრდება სიცრუის ბნელი, შევარდნაძისეული პერიოდი.

ცნობილი ჟურნალისტის კი არა, საქართველოს პირველი და ერთადერთი პატრიოტი პრეზიდენტის მკვლელობა არაა გახსნილი!

აფხაზეთის დანაშაული არაა გამოძიებული!

სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორები არ არიან იზოლირებულნი!

ღმერთმა ქნას, გიორგი სანაია იყოს საქართველოში არსებული ძალადობის ის ბოლო მსხვერპლი, საზოგადოებრივ ცნობიერებას სიმართლისა და ღირსების დასაცავად რომ განაწყობს...

ილია ჭავჭავაძის პეტრე მიდგას თვალწინ: სწორედ, რიგითმა და საზოგადო ცხოვრებისადმი პასიურად მზირალმა პეტრეებმა „ჩამოახრჩვეს“ 26 წლის გიორგი სანაია!

სანაიას მკვლელებზე ადრე უნდა გასამართლდეს იმ პეტრეს ბუნება, აგერ ათი წელია რომ ეგუება საქართველოში არსებულ ძალმომრეობას, ძალმომრეობას, რომელიც დაიწყო ზვიად გამსახურდიას განდევნა-მკვლელობით, გაგრძელდა ქართველთა სულიერების, ხორციულების, ტერიტორიების კარგვით... ჯერ-ჯერობით ბოლო ზვარაკი გიორგი სანაიას!

პეტრეების აზროვნების სიბლანტის ფონზე ფაქტობრივ ხელისუფლებას სურს, პატრიოტული ძალების პროტესტი პოლიტიკურ სპეკულაციად მონათლოს—ამ გზით აპირებს აიცილოს პასუხისმგებლობა!

არსებული დე ფაქტო ხელისუფლება მხოლოდ დროებით იცილებს პასუხისმგებლობას 1991-93 წლების პუტჩზე და აფხაზეთის გაყიდვაზე; საქართველოს დაქუცმაცებასა და გადატყველებაზე; ზვიად გამსახურდიას მკვლელობასა და სახელმწიფო ცნობიერების განადგურებაზე... გიორგი სანაიას მკვლელობაზე...

გიორგი სანაია ედუარდ შევარდნაძის მიერ შექმნილმა ანტისახელმწიფოებრივმა რეჟიმმა მოკლა კარიერისტებისა და მღვრიე დინებას მიყოლილი პეტრეების პილატესებრი გულგრილობის ხელშეწყობით!

გიორგი სანაია მის პირად მტერს არ მოუკლავს (ამაოდ შეეცდებიან ამ ვერსიის გააქტიურებას); არც არანაკლებ ნიჭიერი ქართველი გაუძევებია საქართველოდან მხოლოდ გაჭირვებას...

მთლიანად ჩვენი საზოგადოება არის არსებული ძალმომრეობის მსხვერპლი, ძალმომრეობისა, რომელიც ძალუმად გააქტიურდა ზვიად გამსახურდიას მკვლელობით!

ჯერ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა არაა გახსნილი! არც თბილისში, აფხაზეთსა თუ საქართველოს სხვა რეგიონებში განადგურებულ ქართველთა საქმეებია გამოძიებული!

დროა, ყველამ დაინახოს ლოგიკური კავშირი ამ მკვლელობებს შორის და მაინც, გიორგი სანაიას სიკვდილი, პირველ რიგში, ჩვენი ხალხის შემგუებლური გულგრილობის შედეგია:

...პეტრემ მოკლა გიორგი სანაია!

ტარიელ ფუტყარაძე

## 14-28 აგვისტო—მარიამობის მარხვა

შობასა ქალწულებად დაიძარხნენ და მიცვალებასა სოფელი არა დაუტყვევ, ღვთისმშობელი, მიხვედ ცხოვრებად დედა ევა ცხოვრებისა, და აწ მეოხებითა შენითა იხსნი სიკვდილისაგან სულთა ჩვენთა



19 აგვისტო—ფარისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი მთასა ზედა ფერი იცვალე ქრისტე ღმერთო და უჩვენე მოწაფეთა შენთა დიდებაი შენი ძალისაებრ მათისა, და გამოგვიბრწყინე ჩვენცა ცოდვილთა ნათელი შენი მიუაჩრდილებელი, მეოხებითა ღვთისმშობელისათა, ნათლისა მომცემელი უფალო, დიდება შენდა.

**ზოიე სყლჷო**

**ღირსებაჲრილი მუხუჲეჲი და მღუჲარე პოლიტიკაჲი**

საერთო განუკითხაობას ვერც ნინოშვილის მუზეუმი გაეცა. აქ სამი თვის წინ მოიპარეს 1841 წლის გურიის გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელის როსტომ მეფისურის თოფი, რომელიც ერთ-ერთ უნიკალურ ექსპონატს წარმოადგენდა. „კოლექციონერებს“ შეუნიშნავი არ დარჩენიათ მწერლისეული სანადირო თოფიც. ნაძარცვი ექსპონატების კვალს გაუყენეს გრიგოლ გურიელის შანდალი, რომლის შუქზე ნინოშვილი თავის კორესპოდენტებს წერდა. არც ინგოროყვების კუთვნილი შანდალი დაიწუნეს „სიძველეთა მოყვარულებმა“ და ასე დაუდეს სათავე ნინოშვილის მუზეუმის გაღარიბებასა და ღირსების აყრას.

33. 3

**ჭიჷრან რჷხჷე**

**„ახალი მღვდელი“ და მისი ოინეჲი**

წმინდა წყლის „აფიორად“ შეიძლება მივიჩნიოთ ს/ს „საქართველოს ელკავშირის“ მესვეურების განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა დიზელის სანავისა და ელექტროენერჯის ღირებულება, რაც გაზრდის სატარიფო განაკვეთებს. ტარიფების გაზრდა ფაქტიურად თვით-ლიკვიდაციას უდრის, თუმცა ეს არ ანაღვლებს ს/ს „საქართველოს ელკავშირის“ მესვეურებს.

33. 4

**ხეჷსურეთი—საქართველოს ოლიმპო**

ყველა ნამდვილი ხევსური საოცრად მორწმუნეა; ათეიზმით რწმენა-გონებაშერყეული ახალგაზრდობა აქ თითქმის არ შეგვხვედრია; ხევსურები ღვთიურ-კოსმიური სამყაროს თავისთავადი, იმანენტური წევრები არიან.

მორწმუნე ხალხი, გამითებულ-გახალხურებული ქრისტიანული ლოცვები, ანდრეზულ-ზღაპრული ცნობიერი ველი და არაკულ-გოლიათური ბუნება ერთ მთლიან სამყაროს ქმნის, სამყაროს, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ საქართველოს ოლიმპო...

33. 2-7



**ღოდო გაჷსუჷნი-ბჷლიჷაჷ:**

**რა დახეხუჷრებისუთის მიიღო სანაიის სუჷთიო მოქალჷქოჷ მხუნიოგჷე დიჷე ჭჷიჷეჷ?**

33. 4

**ხიოჷ ნელჷქიწი:**

**„ეს იყო ვეჷქანცეჷის გჷკოლჷ მოღალატე „ხელისუფლების“ ხელმძღვანელოჷთ“**

33. 5

**თითქმის, საქართველოს მთა დაბერდა, ხოლო ბარი—უორიენტაციოდ, ნაცხარებით დაბორილებს!** ტრადიციულად, კულტურული ველის მქონე ბარი მრავალი საუკუნის მანძილზე მთის ანგარა ნიჭიერებით საზრდოობდა, ომიანობა-ფაშიანობის დროს კი ბარში დაზღვეულ-დაფერილი ქართველური გონისა და განძის სავანეს წარმოადგენდა. კომუნისტობის შავბნელ პერიოდში მთის მოსახლეობას ვაჟკაცები („წარჩევი ხეესურები“) მოტყუებით დაუხვრიტ-დაუმარცხეს, საქონელი

ფო უნივერსიტეტებს მწირი სახელმწიფო ბიუჯეტი აქვთ და არ შეუძლიათ დააფინანსონ საველე ექსპედიციები... არადა, ახალი თაობებისთვის არა მხოლოდ პროფესიისთვის საჭირო ლამაზი სტუდენტური ზაფხული იკარგება, არამედ საქართველოს კუთხეების შესწავლა-გაცნობის პერსპექტივაც კარგა.

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსავალი მინც მოიძებნა:

პირველ წელიწადს საველე პრაქტიკის გაგების მსურველ სტუდენტებს ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

რდა ექსპედიციის ბოლოს ჩარგალში ჩავლი-სას: სახლ-მუხუმის დირექტორი დიდი პოეტის მეგვიდრე-მოგვარეა, ფიზიკურადაც ძალიან ჰგავს; მისი შვილი ვაჟს სენიაცაა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ლექსებს არ წერს. დირექტორმა დაგვამაძღა: დღეს ორშაბათია, არ გემუშაობთ, მაგრამ ვინაიდან ასე შორიდან ჩამოხვედით, გაქვსნი, ოღონდ თითო კაცზე 50 თეთრი გადახადეთ ზუსტად, ხალხი არ დამათვლენითო... მხოლოდ 20 ლარიდა გვექონდა, ამიტომაც მე, მალხაზი და კიდევ 9 კაცი მუხუმში აღარ შევსულვართ...

რიბები; ყველა თანასწორი იყო... 1952-56 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ხეესურეთს დიდი დარტყმა მიაყენა: მოსახლეობა იძულებით აპყარა და უზაყოფო და უფარვის ტერიტორიაზე დაასახლა... ადრე მეფეები შეღავათებს უწესებდნენ ხეესურებს, რათა ჩვენ შეგვძლე-ბოდა თავის შენახვა ამ მძიმე პირობებში; ახლა მინის ყოველ მტკაველზე, გადასახადი გვაქვს შეწერილი, მას ემატება ელექტროენერჯისა და სხვა გადასახადები და ამ უპენსიობა-უხელფასობაში იხედავ აქა-იქ შემორჩენილი ხალხი იძულებული ხდება

# ხეესურათი—საქართველოს ოლიგოქონია

მიატოვოს წინაპართა სალოცავი თუ საძვალე და ლუკმა-პურის

წაართვას, საუკუნოვანი მეურნეობა მოუშალეს და, რაც მთავარია, გაუშლავრეს ნახორცივლარი ღვთაებები, შეურყიეს ჯვარისა და ხატის რწმენა; ბოლოს, მთიდანაც აყარეს: საქართველოს ბუნებრივი საზღვრებიც მოარღვიეს და შეუფერებელ ლანდშაფტზე დასახლებული მთიელების სულიერი დაშლაც დაიწყო... ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ მოინდომა მთისთვის ფუნქციის დაბრუნება, მაგრამ აღარ დაცალეს; პუტჩმა საბოლოო განადგურებისაკენ დააქანა საქართველოს მთიანეთიც... თუკი მთისადმი დამოკიდებულება ასე გაგრძელდა, რამდენიმე ათეულ წელში საქართველოს მთიანეთი ვაჟკაცური სულისგან დაიშრიტება, შედეგად კი ბარც საბოლოოდ გაუდაბნოვდება! კონკრეტულ ფაქტებსა და ემოციებს ხეესურეთის მიხედვით წარმოვადგენთ.

თანამშრომელთა საცხოვრებელი ბინები შეერთაზე სვანეთში, სამეგრელოში, ქვემო იმერეთსა და ოკრიბაში. რექტორატი დაგვთანხმდა საველე ექსპედიციების დაწყებას ამგვარი ფორმით და მოხალისე სტუდენტების აღფრთოვანებამ ლოგიკური შედეგი მოიტანა: უნივერსიტეტის რექტორატის გადაწყვეტილებით შესაბამისად, აგრე უკვე ხუთი წელია, დიალექტოლოგიურ-ფოლოკლორულ-ეთნოგრაფიული ექსპედიციები ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში იგეგმება; ბინის პრობლემაც უფრო იოლად გვარდება: ყოველ კუთხეში გამომჩნდებიან ხოლმე ლაჯანის სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელთა დარი კეთილშობილი ქართველები, რომლებიც სტუდენტებს უფასოდ ათევენებენ ღამეს...

ფშავის ბოლო სურათი: მალაროსკარში მზისო თურმანულს გავუარე. დასამშვიდობებლად; ელესიაშია—დედამისმა. ტაძარი გამოკეტის ჰგავდა. ვიფქრე, ავციდი-მეთქი; მინც შევედი: ფუძეხატისა და თითქმის ჩამწვარი სამი სანთლის წინ ქალსანთელი ლოცვანს კითხულობდა... ტაძრის ეზოში მითხრა: „ფშავის აღორძინებას დიდი თავგანწირვა სჭირდება; ადრე მე ამდენი არ შემეძლო“...

საშენებლად გადაიხვეწოს... თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს საზღვარი წუბროვალადე გადმოინაცვლებს: 1000 მესაზღვრე-ჯარისკაცს 100 ადგილობრივი მოსახლე სჯობს მინის დაცვის თვალსაზრისით... აფხაზეთის ომში 21 ხეესური ვაჟკაცი დაიღუბა: მცირერიცხოვანი ხეესურეთისთვის პროცენტულად ეს დიდი ციფრია.“

**არ დაბერებულა მთა მცირერიცხოვნად, მაგრამ ისევ არიან ვაჟკაცები, ისეთები, ინტუიტურად რომ მიჰყვებიან მთიურ წინაპართა გზა-ცისარტყელას, და, რაც მთავარია, არიან ხეესურები, რომელთაც კარგად აქვთ გაცნობიერებული ხეესურთა წარსულიც (ღვთაებებიც, მითებიც და გმირებიც), აწმყოშიც აქვთ კი ყმის ძნელად შესანარჩუნებელ-სატარებელი სახელი, აწუხებთ ხეესურეთისაც, და საერთოდ, სრულიად საქართველოს მომავალი.**

### 3. ბათირა არაბული

პარბი ნიგნი გამოსცა შოთა არაბულმა „წარჩევი ხეესურები“; გარეკანზე ჯაჭვ-ჯაჭვან-თოფ-ხანჯალ-ფარიანი ორი ხეესურის ამაცად მზირალი ფოტოა. ჩემთვის ისინი მითებში დაბადებულ-აღზრდილი ის ვაჟკაცები არიან, ინტუიტურად რომ მიჰყვებიან ბედისწერას თუ ხოჯაის მინდისა და სინდაურისძის გაზღაპრებულ გზა-ცისარტყელას...

ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დირექტორი ბ-ნი ბათირა არაბული ჩვენი მეგზური იყო ათინგეობის დღესასწაულზე; ჩვენი ექსპედიციაც მისი რჩევების მიხედვით დაიგეგმა პირაქეთა ხეესურეთში, და ბოლოს, მისი წინამძღოლობითვე ფეხით დავლაშქრეთ აბუდელაურის ტბის თოვლიანი მიდამოები. 28 ივლისს...

ბათირამ მითხრა: მე პოეტი არა ვარ, მაგრამ ერთი ლექსი დიდმა ტყვიელმა დამანერინაო... ამ ლექსს აქვე, მე-7 გვერდზე ვებეჭდავ; ბევრი ცნობილი პოეტის ლექსს სჯობია ბათირას ტყვიელის ნაშობი; უფრო ბევრს კი სიმართლით ამარცხებს თანამედროვე ძეგლი ამაცი ხეესურეთისა—„რიფა“ ბათირა!

### 4. არხოტიონი და ზვიად გამსახურდიას კაშხალი

პრსი არხოტიონი ახალგაზრდა გაციანი, ნიკლაური; სულ ნახევარი საათი ვისაუბრეთ. არხოტში მიდიოდა ფეხით; კარგად ერკვეოდა აწმყოსულ დინებებშიც... — ხეესურეთში გამსახურდია უყვართ; ყურადღებას გვაქცევდა, ბატონ ზვიადს ერეკლეცავით უყვარდა ხეესურებში... მან მოკლე დროში ჰიდროელექტროსადგური აგვიგოო... ხეესურეთში ერეკლე მეორე გუდანის ჯვარის მოძმედ ითვლება; ნახორცივლარ ღვთაებას უტოლდება გუდანის ჯვარის მოძმე... — რად არ მაიყვან ქალსა-მეთქი, ეუთხარი

მრსი არხოტიონი ახალგაზრდა გაციანი, ნიკლაური; სულ ნახევარი საათი ვისაუბრეთ. არხოტში მიდიოდა ფეხით; კარგად ერკვეოდა აწმყოსულ დინებებშიც... — ხეესურეთში გამსახურდია უყვართ; ყურადღებას გვაქცევდა, ბატონ ზვიადს ერეკლეცავით უყვარდა ხეესურებში... მან მოკლე დროში ჰიდროელექტროსადგური აგვიგოო... ხეესურეთში ერეკლე მეორე გუდანის ჯვარის მოძმედ ითვლება; ნახორცივლარ ღვთაებას უტოლდება გუდანის ჯვარის მოძმე... — რად არ მაიყვან ქალსა-მეთქი, ეუთხარი

### არ დაბერებულა მთა

მცირერიცხოვნად, მაგრამ ისევ არიან ვაჟკაცები, ისეთები, ინტუიტურად რომ მიჰყვებიან მთიურ წინაპართა გზა-ცისარტყელას, და, რაც მთავარია, არიან ხეესურები, რომელთაც კარგად აქვთ გაცნობიერებული ხეესურთა წარსულიც (ღვთაებებიც, მითებიც და გმირებიც), აწმყოშიც აქვთ კი ყმის ძნელად შესანარჩუნებელ-სატარებელი სახელი, აწუხებთ ხეესურეთისაც და, საერთოდ, სრულიად საქართველოს მომავალი. ნეტა, ყველამ შეიძლოს მოუსმინოს ბათირა არაბულ-სწარჩევი თანამედროვე ხეესურს—დახვეწილ და განათლებულ ქართველ ინტელიგენტსა (ა-ჯობებდა მეთქვა—მწიგნობარი!) და მშობლიური კუთხის ღირსეულ წარმომადგებელს. საქართველოო ტელევიზია რომ გვექონოდა, სწორედ ბ-ნი ბათირას და მის მსგავს ქართველს დაეხმობოდა უსური და არა ამა თუ იმ პარტიის ჩოჩორზე შემომჯდარ კარიერისტო... არადა, სტალინბერიას დროის მსგავსად, ახლაც, მითებით შემოსილი ჩვენი მთაც მძიმედ დასწებობებულა მესკამურობის სენით (რაც არჩვენებისას აზნიტდება თურმე), ნაკლები ასპარეზი აქვთ გულმართალ ხეესურებს...

მრსი არხოტიონი ახალგაზრდა გაციანი, ნიკლაური; სულ ნახევარი საათი ვისაუბრეთ. არხოტში მიდიოდა ფეხით; კარგად ერკვეოდა აწმყოსულ დინებებშიც... — ხეესურეთში გამსახურდია უყვართ; ყურადღებას გვაქცევდა, ბატონ ზვიადს ერეკლეცავით უყვარდა ხეესურებში... მან მოკლე დროში ჰიდროელექტროსადგური აგვიგოო... ხეესურეთში ერეკლე მეორე გუდანის ჯვარის მოძმედ ითვლება; ნახორცივლარ ღვთაებას უტოლდება გუდანის ჯვარის მოძმე... — რად არ მაიყვან ქალსა-მეთქი, ეუთხარი

### 1. დე ფაქტო ხელისუფლება და სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიურ-ფოლოკლორულ-ეთნოგრაფიული ექსპედიციები

ქსუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს არასოდეს ჰქონიათ დიალექტოლოგიურ-ფოლოკლორული საველე პრაქტიკა აღმოსავლეთ საქართველოში; საერთოდაც, ბოლო პერიოდის ქართველები ძალიან ცუდად იცნობენ ერთმანეთს; ახალ თაობას მინც უნდა შეეუწყოთ ხელი გამოსწოროს წინა თაობე-

### 2. წარსული ლამაზი ფშავი, ქალსანთელი და „მშაველთა“ კარგი მომავალი

მიმდინარე წელს ფშავში მიწოდდა წამყვანა სტუდენტები, ამიტოს მე და ჩემი მოადგილე მალხაზ დოგრაშვილი წინასწარ ჩავედით გიორგი და მზისო თურმანაულების ნალოლიაგებ მალაროსკარის სკოლა-ინტერნატში; შევხვდით დასავლეთ საქართველოსადმი კეთილგანწყობილ პედაგოგიურ კოლექტივს, მაგრამ სკოლის დირექტორმა ერთ სტუდენტზე ერთ ღამეში ორი ლარი მოითხოვა: ბაჩანას იუბილე გვაქვს შემოდგომაზე... სამასწავლებლოში შევარდნაძის სურათი ეკიდა: იუბილის ფული ამას უნდა თხოვო და არა სტუდენტებს-მეთქი, ვეშწარე...

მაშინ კი გამაგონა ივანე ქართველიშვილმა, მაგრამ ახლა მადლობას ვუხვდი, ვინაიდან, ის ან ჩვენ რომ დავგთანხმებოდა, ან ქუთაისის უნივერსიტეტის ექსპედიციისადმი კეთილად განწყობილ დუშეთის განათლების განყოფილების გამგეს, ქალბატონ თინა ბანცურს, ჩვენი წ-კაციანი ექსპედიცია ასე ახლოს და

ასე ლამაზად ვერ გაიცნობდა ხეესურებსა და ხეესურეთს. —ერთხელ, ექსპედიციის შუა პერიოდში, ხეესურეთიდან მარტო მოვიდოდი და შუაფხოსთან გზად უცნობი დავიმგზავრე; ჭარმაგი კაცი ცნობილი ფშაველი, კარგი ქართველი კაცი ილია ფხოველი აღმოჩნდა; ის ილია ფხოველი, ანა კალანდაძემ ბევრი კარგი ლექსი რომ უძღვნა... ჟინვალთან მანქანიდან რომ ჩამოდიოდა, მითხრა: სხვა ხალხი იყო; ჩემს თვალწინ ჩამოილიგენ ღმერთივით დიდებულ და დარბაისელი ფშაველები... მე მაშინვე გავიფქრე: არა, არ ჩამოიღულან! ახლა არის ილია ფხოველი, მერე სხვა რაზიკაშვილ-ფშაველები და ფხოველები აღიზრდებიან! ფშავის თემა ჩემში კიდევ ერთხელ გამაფ-



ბის ეს ნაკლი. საამისოდ, პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს; არადა, სახელმწიფო ძალაუფლება ხელში ჩაგდებული აქვთ ადამიანებს, რომლებიც შორს არიან გოგებაშვილისეული ცნობიერებისაგან („საგანძური“ საქართველოს კუთხეების გაცნობა-დახასიათება); გარდა ამისა, დღეს საზოგადოების დიდ ნაწილს ვერ გაუგია, რომ სახელმწიფო ხალხისა, სახელმწიფო ბიუჯეტი ხალხის გადასახადებით დგება, დღევანდელი დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები კი ჩვენთვის განკუთვნილ სახსრებს—შემოსავლებსაცა და სესხებსაც—კერძო ჯიბეებში იდებენ (ამიტომაც ჩვენი ხელფასები ისეთია, საქართველოო მსოფლიოს უღატაკეს ქვეყნად რომ ითვლება); შესაბამისად, სახელმწი-

ნიკლაურს; აქ გასათხოვარი ქალები არ არიან და ბარიდან ვინ გამამყვება ამ მთაში; ან ვინმე რად გავაუბედურო: ადრე, ძველ ხეესურეთში კარგი, თვითხანაველი ექიმები იყვნენ, თავის ქალის ოპერაციისაც კი აკეთებდნენ; ახლა აღარავინაა, არც ადგილობრივი აქიმი და არც მოსულაი ექიმი; ცოლი აყად რიში გამიხდეს, რა ვქნაო—სვედიან-ფშაკურად ჩაიღიმა სინდაურისძის კვალზე მაგალმა არნიე-თვალანამა და მგლისმუხლა ხეესურმა.

— უჭირს საზღვრის დაცვა ჯარს; ხეესურთა სოფლები ძველებურად ფეხზე რომ იდგეს, საქართველოს ჩრდილოეთიდან პრობლემები აღარ ექნებაო—სედა გაუბუქდა ახალგაზრდა ხეესურს.

თავად ბათირა არაბულს მივუხმინოთ: „ხეესურეთში არ იყვნენ მდიდრები და ლა-







ჩვენი რწმენა

წმიდა მოწამე პანტელეიმონ მკურნალი

წმიდა პანტელეიმონი დაიბადა ბითონის მხარეში, ქალაქ ნიკომედიის მკურნალის (305-311) კარზე დაახლოებულ მდიდარ ოჯახში. მამა წარმართი იყო, დედა კი ქრისტიანი, რომელიც შვილს მცირე ასაკიდანვე ღვთის სიყვარულს ასწავლიდა. პანტელეიმონს დედა ადრე გარდაეცვალა, მამამ შვილი აღსაზრდელად მიაბარა სახელგანთქმულ ექიმ ეფროსინეს, რომელიც ვაჟს ასკეზად, პიპირატურა და გაღვინის მოძღვრებას ასწავლიდა. მალე თავისი განათლებით, აღზრდითა და სიღაძნით პანტელეიმონი მეფის სასახლეში მდივანი ბიროს მდივანად გახდა. მაქსიმიანეს სურდა იგი პირად მკურნალად აეყვანა, მაგრამ მალე პანტელეიმონმა გაიცნო ქრისტიანი მღვდელი ერმოლაოსი, რომელმაც ის ქრისტეს შესახებ უქადაგა მას. პანტელეიმონი სულით მივდნო თავისი დედის ღმერთს. ერთხელაც, სასწავლებლიდან მიმავალმა ასპიტი დაგვსლილი ბავშვი დაინახა. პანტელეიმონმა მის საშუალებად ქრისტეს მიმართა. მართლაც, პატარა უვნებლად წამოღვა ფეხზე. ამ დღის შემდეგ იგი ერმოლაოსმა მონათლა და აზიარა. მომავალმა წმინდანმაც ხალხის მკურნალობა ახლა მაცხოვრის სახელით დაიწყო: ასე განკურნა ბრძა, რომელსაც ქალაქის სახელგანთქმულმა ექიმებმა ქონებასთან ერთად ის მცირეოდენი სინათლეც დააგარავინეს, რაც ჰქონდა; დადასტოვებულად, რომელიც არც ერთი სხეულის ნაწილის ამოძრავება არ შეუძლო. პანტელეიმონის ქადაგებითა და მასზე იესო ქრისტეს მიერ აღსრულებული სასწავლებით მამამისი ქვეყნის სარწმუნოებაზე მოექცა. მაგრამ კერპთაყვანისმცემლებმა იგი შეფესთან დაასმინეს პირადი შურისა და ძველი რწმენის დატოვების გამო. მათ მოსთხოვეს მაქსიმიანეს დაესაჯა პანტელეიმონი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმართები ქრისტიანების დახატვის შეიქნებინათ.

მეფემ სჯულის დატოვება მოსთხოვა პანტელეიმონს, მაგრამ, როცა უარი მიიღო, ბრძანა გაეშოშვებინათ, ძელზე გაეკრათ და შანთებით დაედალოთ. მოწამემ ქრისტეს მიმართა, მოთმინება მიეჩვენა მისთვის, მაგრამ მკვდრეთით აღმდგარმა მაცხოვარმა არ დაუტევა იგი, ვალათებს ხელები ჩამოუგარდათ და საწამებელი იარაღებიც მის დაეყარათ. ამჯერად კუბრის ქვაში ჩასვეს პანტელეიმონი. მას ქრისტე მასთან გაჩნდა, ცეცხლი ჩაქრა, კუბრი გაცივდა. შემდეგ ზღვაში გადაადგეს ჭაბუკი ქედზე ლოდადებული, მაგრამ უფალომა იგი პეტრე მოციქულივით წყლის ზედაპირზე გაატარა. გაცოფებულმა მაქსიმიანემ საჯარო სანახაობა მოაწყო ჭაბუკის დასასჯელად; იგი მხეცებს მიუკვდო საჯიჯნად, მაგრამ მოწამესთან მისული ნადირები მშვიდნი და თვინიერნი ხდებოდნენ და მას ფეხებს უღოთავდნენ.



იწყო თუ არა ტრიალი, ბორბალი ნაწილებად დაიშალა. გამძვინვარებული მეფის ბრძანებით წმიდანს თავი მოეკეთეს, ტანს კი ცეცხლი წაუვიდეს, მაგრამ სიკვდილიც არ დატოვა იგი იესო ქრისტემ და წმიდანის გვამი მთრწმუნებმა იქიდან უვნებელი გამოიტანეს. მართლმადიდებელი ეკლესია დიდი სასიკეთო იხსენებს უვერცხლო მკურნალს და მისგან ითხოვს სულთა და ხორცთა კურნებას: „მომსგავსებულ იქმენ ყოველად მოწამელსა და მთილედ მადლი კურნებთა, ღვაწლით შემოსილო მოწამეო ქრისტე ღვთისათ, ლოცვითა შენითა სულთა ჩვენთა სენი განკურნენ და განსდევნენ ქმშიაისა საცდურნი ჩვენგან, რომელი ვლადადებთ: გვაცხოვნენ ჩვენ, უფალო!“

მონამესთან მისული ნადირები მშვიდნი და თვინიერნი ხდებოდნენ და მას ფეხებს უღოთავდნენ, პანტელეიმონიც ყოველ მათგანს ეალერსებოდა.

მასალა მოამზადა ლ. შიხა ნაჭაბურთაძემ მამა ლაზარეს (კანდელაკი) ლოცვა-კურთხევით

P.S. ვახუშტი „ქუჩის“ მე-19 ნომერში პანტელეიმონ მკურნალის ხსენების დღედ არახსოვრად მითითებული იყო 9 ივლისი, ჩვენი შეცდომის წყალობა გახდა წიგნი „ლიტურჯია“ (ქუთაისი, 2000 წელი), რომელშიც პანტელეიმონ მკურნალის ხსენების დღედ მითითებულია ძველი სტილით 27 ივნისი... მოგვითხვეთ!

თბილისში 26 ივლისს გამთენიისას საკუთარ სახლში ვერაგულად მოკლეს ჟურნალისტი გიორგი სანაია. ამ საზარელმა მკვლელობამ აღაშფოთა სრულიად საქართველოს მოსახლეობა. ეს მკვლელობა კიდევ ერთი მძიმე დარტყმაა სიტყვის თავისუფლებაზე. საქართველოს პელსინვის კავშირის სენაკის რაიონული ორგანიზაცია ღრმად მწუხარებს გამოთქვამს გიორგი სანაიას ვერაგულ მკვლელობის გამო და სამძიმარს უცხადებს დაღუპულის ოჯახს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას.

საქართველოს პელსინვის კავშირის თბილისის სამგორის რაიონული ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს რაიონული ორგანიზაციის გამგეობის წევრს გივი მაჭარაშვილს დღეს. გარდაცვალების გამო. 3/კავშირის სამგორის რაიონული ორგანიზაცია.

გარდაცვალება კიდევ ერთი დევნილი აფხაზეთიდან ვახტანგ (ვახაბ) ანატოლის ძე გულუა დაბადებული 1962 წელს.

ხევისსურეთი-საქართველოს ოლიმპი

2  
5. შერიგების სურნა და ტობი-ასი  
(ირაძე) არაბულის ოჯახში შერიგების სურნაზე დამატიყეს: ირაკლის ქალიშვილი თითქმის ბარულად მოუტაციათ გაპარულა... ბათირა იყო თამადა. ბარიდან ამოტანილ ლეონოს ხევსურული ლუდი ვირჩიე. საოცრად ჭრელი საზოგადოება შეიკრიბა, მაგრამ ურთიერთეტილგანწყობილი... აქ გავიცანი კიდევ ერთი საინტერესო და განათლებული პიროვნება გიორგი ლიქოკელი-ამეზამდ ბარისახოს მასწავლებელი და კორმას მკვიდრი. თამადის თავდაჭერილობის მიუხედავად, სურნა მალე აღრეობდა. აქტიურობდა სამი თავგადასოტრილი ბიჭი (გული დამწყდებოდა, თუკი ისინი ხევსურები აღმოჩნდებოდნენ...), რომლებიც ღვინოს აძალებდენ ჩუმად მყოფ და უხმაუროდ მსმელ ქერა ახალგაზრდას. გერმანელიაო, მითხრეს. ტობიასი საკმაოდ ამტანი ჩანდა; ჩემი ორი-ოდე ღერი ინგლისურით გამოველაპარაკე. ეტყობოდა ჩვენით დაინტერესება... მაშინაც ვიფიქრე და ახლაც ვიფიქრობ: ერთმა კაცმა დოში-ზუთის ლორად გამოყვანილი ნაწილი დაკარგა; მეგობარს უთხრა: დაკარგვას კი არ ვდარდობ, ვინმე ლოთი იპოვის და „სილიოტკის“ გემოვნებით შეჭამს... არაი შევითავად, საქართველოს სტუმრები ქართველთა საუცხოო(!) მასპინძლობას ვადაქარბებულ მეზობლებად, დიდ ქართველურ ტრადი-

ციებს კი ჩამორჩენილობად თვლიან მესილიოტკე ლოთივით... არადა, ნამდვილად არაქართველურად აძალებდნენ ღვინოს თავგადასოტრილი თბილისელი სტუმრები გერმანელ ტობიასს, რომელიც ხევსურეთში იტანდა დამალვას... ხევსურული ცეკვა-სიმღერის გარდა, ლამაზად დამამახსოვრდა დიასახლისის საქციელი: ირაკლის მეუღლემ რამდენიმე წყნარად მჯდომ



თუ საპატიო სტუმარს ჩამოუარა თავისი ქიტი ხელში... ჩემი ქიტი ლუდით შეავსებინა და მითხრა: ხომ არ მოინწყინეთ, სტუმარო მამო? 6. ათინგენობა ათინგენობა და ახალწობა ხევსურეთში დიდი დღესასწაულებია; შემდეგ მოდის: შობა, მარიამობა, გიორგობა და ა.შ. ათინგენობა ერთ კვირას გრძელდებოდა; რიტუალების შემდეგ იმართებოდა ქვიფი, დო-

ლი, სხვადასხვა თამაშობანი... ხევსურეთში ათინგენობა 21 ივლისს დაიწყო; ბათირა არაბულმა მიგვიწვია ბაცალი-გოში, სადაც ის დასტური იყო. იმ დღეს გუდანის ორივე სალოცავსაც მოუყვარეთ მუხლი. საქართველოს ეკლესიის კალენდრის მიხედვით, ახალი სტილით 29 ივლისს არის მღვდელმონაშემ ათინგენე ეპისკოპოსისა (დაახლოებით 311 წ.) და ათთა მისთა მონათვთა ხსენების დღე; ამავე დღესაც ექვსი მსოფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება. ძნელი სათქმელია, განსაკუთრებულმა გარემოებამ-გამოცხადებამ-აქცია ხევსურეთში ათინგენობა უდიდეს დღესასწაულად თუ ამ ერთ-ერთი უძველესი წმინდანის ხსენების დღე რომელიმე წარმართული ღვთაების სახელს გადაეფარა... ათინგენობის დროს ისევ ხშიანდება ხევსურეთი; ხუცები ისევ თანამიმდევრობითა და რიხით ამბობენ მორიგესა და ღვთისშვილთა სადიდებლებს (პირისქერს) და კურთხევას... ისევ ხარშავენ ლუდს, რომელსაც ზოგჯერ უკვე ღვინოდ ენაცვლება... ისევ იკვლება კურატები და ყოჩები... ხევსურები ისევ ჯგუფად მოდიან ხატთან: ხალხის წინ მიუხალმებლად გაიცილიან და ჯერ ჯვართან მოიყრიან მუხლს; მხოლოდ შემდეგ მიესალმები-

ან რიგად მდგარ და „გწყალობდეთ“ სიტყვის მომლოდინე დაზვდურთ... ყველა ნამდვილი ხევსური საოცრად მორწმუნეა; ათიზმით რწმენა-გონებაშერყეული ახალგაზრდობა აქ თითქმის არ შეგვხვდრია; ხევსურები ღვთიურ-კოსმიური სამყაროს თავისთავადი, იმანენტური წევრები არიან. მორწმუნე ხალხი, გამითებულ-გახალხურებული ქრისტიანული ლოცვები, ანდრებულ-ზღაპრული ცნობიერი ველი და არაკულ-გოლიათური ბუნება ერთ მთლიან სამყაროს ქმნის, სამყაროს, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუნოლოთ საქართველოს ოლიმპო... მორიგე ღმერთი (შღრ. სვანური ხომა ღერი-ბეთი), ღვთაებები, ნახორცილარი (აღამიანად ნამყოფი) ღვთაებები, გმირები და ჩვეულებრივი მოკვდავი ხევსურთა ცნობიერებაში დღესაც ისეთ მთლიან და ცოცხალ ჯაჭვს ქმნის, ადამიანს ზუსტად რომ განუსაზღვრებას ამქვეყნად ყოფნის აზრსა და დანიშნულებას, ადამიანს რომ იხსნის ამბიციის მკრეხლობისგან თუ სხვა ხორციელი ცოდვისაგან... 7. ტარიელის ტირილი ჩვენი ექსპედიცია ბარისახოს სკოლა-ინტერნატში იყო დაბანაკებული. დენი იყო, მაგრამ სამზარეულოში არ ირთებოდა. ბატონმა ბათირამ „ელექტრიკი“ მოიყვანა, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სოფლელი მოხელე. პრობლემა მალევე მოგვარდა და ჩვენ სუფრასთან მივიპატიუეთ ღვინოსო ჭინჭარაული, თითქოს და არაფრით გამორჩეული ხევსური. ბათირამ უდროოდ დაღუპულთა სადღვეგრძელო რომ

# სილაქარა მამას ჩეჩნეზე

(თქმული ჩეჩნეთის პირველი ომის დროს)



შატოს ცაზე ქარები  
 ღრუბლებს მატყლივით ჩეჩენო,  
 დრო არის შესასარები  
 როგორი?! ღმერთო, შენ ჩემო?!  
 მოძალადეთა ჯარები  
 ჩეჩნეთის გულსა ჩეჩქვენო,  
 რეკავენ გლოვის ზარები,  
 სისხლის ღვარები ჩქეფენო,  
 კაკანებს ავტომატები,  
 ჰაუბიცები სჭეკენო,  
 ცეცხლია მთელი ჩეჩნეთი,  
 იწვის გროზნი და ვედენო,  
 რა უღმერთობას ჩადიან,  
 რა სისაძაგლეს ბედვენო?!  
 ცოდო-ბრალს ატრიალებენ,  
 მალლა ღმერთს არა ხედვენო,  
 იჭერენ დიაც-ყმაწვილსა,  
 ყველას უწყალოდ უღეტენო,  
 იკლებენ დაბა-სოფლებსა,  
 უხვად დავლასა ხეგეტენო...  
 აკმარე, დასაბამიდან  
 რაც რომ ეწაბა, ეგ ევნო,

საკუთარ მიწას დარაჯობს,  
 რას ერჩი, რუსო, რეგვენო.  
 ებრძვიან, ავიწროებენ  
 და მაინც ვერა ტენენო.  
 ეს რა უდრეკი ყოფილხარ,  
 რა გამძლე, ჩემო ჩეჩენო.  
 შენი ბრძოლის ხმა რომ მესმის,  
 თითქოს ეკლები მხსვლეტენო,  
 შენი გმირობით შეძრული  
 ვმუნჯდები, ველარ ვმეტყველობ.  
 ღირსი ხარ თავისუფლების,  
 მხოლოდ სახელის მხვეჭელო.  
 ვერ დავიგვეხნით შენთანა  
 ვერცა სხვა ერი, ვერც ჩვენო.  
 შენ რომ გიყურებ, ვწიოდები,  
 მრცხვენა, მხარს რომ ვერ გჭერო,  
 არ ვიცი, საიქითში  
 წინაბრებს როგორ ვეჩვენო,  
 ცრემლი მადგება თვალებდა  
 და გულს დარდები გლეჯენო,  
 ჩემი სამშობლოს ცაზედა  
 კვლავ ყვაფ-ყორნები ყეფენო.  
 ინაწილებენ ჩემს მამულს,  
 თხ-ხუთ ნაწილად ზღეჩენო,  
 ათლიან დუმასავითა,  
 გემრიელ ლუკმას ჰკბენენო,  
 რად არ აღსდებით საფლავით  
 დავით, ერეკლე მეფენო,  
 რად არ გვიშველით თქვენს მოდგმას,  
 ეს რა დიდ სირცხვილს გვდებენო,  
 შენ ამას ვერ გიბედავენ,  
 გებრძვიან, ვერა გტეხენო,  
 ეს რა უდრეკი ყოფილხარ,  
 რა გამძლე, ჩემო ჩეჩენო!  
 კარგი გაგიზრდავ ვაჟკაცო,  
 მარჯვედ მახვილის მომხმარი,

ბევრჯერ გარეკა მტრის ურდო,  
 გალალა, როგორც ძროხანი!  
 არ დაჩოქილა ერთხელაც,  
 სანამდე იყო ცოცხალი!  
 სამშობლოსათვის ჩამოდნა,  
 ჩამოხმა, როგორც ჯოყარი.  
 მტრისგან დალატით მოკლული,  
 ღმერთმა აცხონოს ჯოჯარი!  
 ჩვენც გყავდა, ვერ შევიშნოეთ,  
 მისი მომხრე და ძმობილი,  
 სამშობლოსათვის დამწვარი,  
 ჭკუა-გონებით ცნობილი,  
 ქართველი ერის ხსნისათვის  
 ღმრთისაგან გამოხმობილი.  
 გაფრთხილეთ, გაფრთხილეთ,  
 ცილი დაგწამეთ, მოგაკლით  
 ის გმირი, კეთილშობილი.  
 ბევრი გაზარდოს დედამა  
 ვაჟი, მათსავით გულადი,  
 დარჩება საუკუნოდა  
 მათი ხატი და სურათი,  
 ღირსია, მუცალივითა  
 ვჯვარში დაგუკლათ კურატი.  
 შატოს ცაზე ქარები  
 ღრუბლებს მატყლივით ჩეჩენო,  
 დრო არის შესასარები  
 როგორი?! ღმერთო, შენ ჩემო?!  
 მოძალადეთა ჯარები  
 ჩეჩნეთის გულსა ჩეჩქვენო,  
 გამაგრდი, არ დაგაჩოქონ,  
 აგრემც შვილები შეგჩენო!  
 გამარჯვებამდე ღმრთოლე,  
 ჩემო მამაცო ჩეჩენო!

ბათირა არაბული

## ხავსურეთი-საქართველოს ოლიმპი

შესვა, მხოლოდ მაშინ მიხვდით ღვთისო ჭინ-  
 ქარაულის არაჩვეულებრივობას: ის უღიდეს  
 ტკივილს ატარებს, მაგრამ „სხვის“ თვალში  
 ჩვეულებრივი მოკვდავია: ღვთისოს ვაჟი აფხა-  
 ზეთის ომში მოკლეს; ეს ამბავი დედამ რომ  
 გაიგო, ავტომატის ორი ტყვია დაისხალა და  
 შეიღს დაენია... ღვთისომ ქალიშვილი უპატ-  
 რონოდ ველარ დატოვა და სათიბში თუ სა-  
 დენებთან ტკივილიანი სიმძიმით დადის...  
 ბაცალიგოს პირქუშის ჯვარში (პირქუში  
 ცეცხლის ალიანი) ერთი კაცი სასმელს ცრემ-  
 ლიანი ხმით გვთავაზობდა. ტარიელ არაბუ-  
 ლის მისიშვილი ავარიში დაიღუპა; დედამ  
 თავი ჩამოიხრჩო; ტარიელს შესანიშნავი  
 პქონდა ამოტანილი... ტარიელის ვაჟკაცობა  
 დიდი თემაა, მაგრამ მე სხვა მიმართულებით  
 მიმყავს აზრთა დინება: **დედაშვილობის  
 ასეთი მძაფრი განცდა და ხევსურ  
 ვაჟკაცთა ცნობილი უმოწყალო თავ-  
 განწირვა საკერძოო სიყვარულისა  
 და საზოგადო მოვალეობის ტრაგი-  
 კული ერთიანობის საოცარ ნიმუშს  
 ქმნის...**

**მ. აბუდელაური და  
 სტუდენტური ზღაპარი**  
 ბარისახო, კორმა, აკუშო, აჭე, ბუჩუკურთა,  
 გველეთი, დათვისი, მონმაო, უკანახო, ჩირდი-  
 ლი, ქობულო, ჭალისოფელი, გუდანო, ჭიე-  
 1987 წელთან შედარებით ხევსურეთის ამ სოფ-  
 ლებშიც თითქმის განახევრდა მოსახლეობა...  
 სტუდენტებიც ხშირად სევდიანდებოდნენ ჩა-  
 ჩუმებული სახევსურო ხეობების ხილისას,  
 რესპოდენტთა ტკივილის მოსმენისას...  
 სტუდენტურმა ექსპედიციამ კარგად იმუ-  
 შავა...  
 სტუდენტებმა აღტაცებაც ბევრჯერ განიცადეს-

აღტაცება-აღმაფრენას მასპინძელ ხევსურ-  
 თა თავდაჭერილი სილაღლეს ინვევდა, სტუ-  
 დენტური საღამო-ღამეებიც, დიდ და პატარა  
 არაგვებში ბანაობაც, საფრენბურთო ჩემპიონ-  
 ნატ-წინებანიც, მაგრამ მთავარ სააღტაცებო სტი-  
 მულს გრილპაეროვანი ფერდობები, კეთილ-  
 დევეგორებიანი მთები და თოვლიანი უკვდა-  
 ვი სულელება მიმოიქცეოდა...  
 მთავარი მაინც როშკა-აბუდელაური იყო!  
 ექსპედიცია რვა ჯგუფად დაყავი; სტუ-  
 დენტებს თავიდანვე მოუყვეთი როშკის, აბუ-  
 დელაურის ტბის (იხსარისა და დევის) და  
 ჭიუხების შესახებ. წი-  
 ნანარვე ვთქვით, რომ  
 28 ივლისს როშკაში  
 ნავიღოდა ის ჯგუ-  
 ფები, რომლებიც მათ-  
 თვის განკუთვნილი  
 ტექსტების ჩანერას  
 დაამთავრებდა, შორე-  
 ულ სოფლებში სია-  
 რული არ გაუჭირ-  
 დებოდა და ექსპედი-  
 ციის შინაგანანჯესაც  
 არ დაარღვევდა.

...როშკა თითქოსდა  
 ბრძოლის ველზეა გა-  
 შენებული, ველზე,  
 სადაც ღვთისშვილ-  
 ბისა და დევების ბრძოლის ნიშნები—უზარ-  
 მაზარი, „ერთმანეთისთვის ნასროლი“ ლოდ-  
 ბი ახლა უხმაუროდ დევს.  
 საცალფეხო გზით როშკას სასაფლაოსთან  
 რომ ახვალთ, მარცხნივ ჯერ რძის მდინარე  
 გამოჩნდება, შემდეგ ეულად მდგარი ბაზილი-  
 კა და მარჯვნივ, თავად სოფელი როშკა—ხე-  
 სურეთის დედოფალი.

...როშკას ზემოთ ქვაჯვარიც შეგხვდებათ,  
 წყაროებად დასერილი გორებიც, ყვავილთა  
 ველებიც და, რაც უფრო საინტერესოა, ყვა-  
 ვილთა ყვითელი მდინარეც (!)... ბოლოს, საო-  
 ცარი ფერების (ზურმუხტისფერი, ფირუზის-  
 ფერი, შაბიამნისფერი) ტბები, სინდაურიძის  
 მწვერვალი, ჭიუხების ძირას დატყვევებული  
 თოვლი (არ მიყვარს დატყვევებული თოვლის  
 ყურება!) და თუ გაგიმართლათ, იქაურობა  
 შეიძლება აახშიანოს ლურჯი ტბის შუაგულ-  
 ში დიდ ქვაზე ჩამომჯდარი როშკელი მურ-



2001 წლის 28 ივლისი, ჭიუხების თოვლში

თაზის მითურხმინამა მითურმა სიმღერებმაც...  
 ჩვენ გაგვიმართლა...  
 შეუძლებელია იქ ნანახის გადმოცემა, სა-  
 ერთოდ, უმჯობესია, ყველამ შეიძლოს საქარ-  
 თველოს ყველა კუთხის ნახვა, საკუთარი ქვეყ-  
 ნისა და მოდგმის სიდიადე ძალუდამ რომ  
 აღიქვას...

**2. მთები არ დაბერდებიან**  
 ამ წერილის წერის დროს მამაჩემის ერთი  
 ლექსის ერთი ფრაზა ამეკვიტა:  
 „სანამ არწივი არწივობს, მთები არ და-  
 ბერდებიან!“  
 ...ღღეს მოდუნებულია ხალხი; ეშინია უკმა-  
 ყოფილების პირდაპირ გამოხატვა; რაღაცას  
 თუ ვილატას ელიან...  
 ჩვენ ვერაინ გაგვაარწივებს! არწივობა გე-  
 ნით მოგვდამს და ეს უნდა გავაცნობიეროთ;  
 ჩვენშივეა მსხნელი!  
 გამოუვალი სიტუაცია არსებობს მისთვის,  
 ვინც გამოსავალს ვერ ხედავს...  
 ბუნებაში ჩიხი არ არსებობს!

**მინაწერი:**  
 ექსპედიციის წინა დღეებში პან-  
 კისში სიტუაცია დაიძაბა; ერთ-ერთ  
 ლექტორს ეშინოდა, რამე არ მოხ-  
 დესო... მას და რამდენიმე შეშინე-  
 ბულ სტუდენტს ვუთხარი: პანკისი  
 აღმოსავლეთშია, ხევსურეთი - ჩრდი-  
 ლოეთში; გარდა ამისა, ნახეთ ხევ-  
 სურეთი, რომ ირწმუნოთ საკუთარი  
 ძალა; ნუ გგონიათ, რომ ხევსურე-  
 თის ნახვის თავიც არა გავეთ...  
 ექსპედიციის დასასრულს, აბუ-  
 დელაურის ტბასთან ბედნიერი ვი-  
 ყავი იმიტომაც, რომ ქუთაისში შე-  
 ჭოჭმანბულ-შეშინებული სტუდენტები  
 მწვერვალებისკენ პირველნი მიილ-  
 ტვოდნენ...  
 ტარიელ ფუტპარბქმ  
 ქსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-  
 კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

